ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

ჯ. კახიძის ქ. №2



თბილისი

2017, აგვისტო

ჯ. კახიძის (ყოფილი კრილოვის) ქუჩა დავით აღმაშენებლის პროსპექტის მიმდებარედ მდებარეობს. დ. აღმაშენებლის – (ყოფ. პლეხანოვის, ყოფ. მიხეილის) პროსპექტი ისტორიული თბილისის ერთ-ერთი ძირითადი არტერიაა.

XVIII ს. ტერიტორია, რომელზედაც დღეს პროსპექტი არსებობს, ეკალ-ბარდებით იყო დაფარული. 1800წ. ქალაქის გეგმაზე განაშენიანებული იყო მხოლოდ ვორონცოვის მოედნის ნაწილი, რომელსაც სოფ. კუკია უერთდებოდა. (სოფ. კუკია დაახლოებით იქ თავდებოდა სადაც ახლა მარჯანიშვილის ქუჩა გადის.)



ამ მიწების აქტიური ათვისება, მხოლოდ 1818 წლიდან გერმანელ კოლონისტთა გადმოსახლების დროიდან იწყება. სწორედ გერმანელებმა კეთილმოაწყვეს ეს ტერიტორიები, გამოიყვანეს სარწყავი არხი და გააშენეს ბაღები და ბოსტნები. გერმანელები გახდნენ თბილისის ბაზრებში ხილისა და ბოსტნეულის მთავარი მომწოდებლები. განსაკუთრებით აქტიურად გაშენდა მიხეილის პროსპექტი ვერის ხიდის (ახ. გ. ტაბიძის ხიდის) აგების შემდგომ. 1860-იანი წლებისთვის ეს ტერიტორია ჯერ კიდევ აქტიურად იყო გამწვანებული გერმანელთა ბაღებით, რომელთა ფრაგმენტები შემოგვრჩა ყოფ. ფილარმონიის (გოფილექტის) ვარდების (გორკის) არტოს და სხვა ბაღების სახით.

არქიტექტურული განაშენიანებიდან მიხეილის პროსპექტზე და მიმდებარედ აღსანიშნავია არქ. ალ. ზალცმანის კათოლიკური ეკლესია, სასტუმრო "ვეტცელი" არქ. ბილფელდი, კინოთეატრი "აპოლო", მარჯანიშვილის სახ. თეატრი ყოფილი "სახალხო სახლი" რეალური სასწავლებელი - უშ. ჩხეიძის

ქუჩაზე და სხვა ძალზედ მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლები, რომელთა უმეტესობა თბილისში მოღვაწე სახელგანთქმული არქიტექტორების ნახელავია.

საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებთან ერთად მიხეილის პროსპექტის სამხრეთი მხარე XIXს. შუა წლებიდან სამხედრო დანიშნულების ობიექტებს ეკავა: არტილერისტების, დივიზიონსა და მესანგრეთა საჯინიბოებს – ვაგზლის მოედანთან, იუნკერთა და კადეტთა სასწავლებლებს ყოფილი დიდიმთავრის (ახ. დ. უზნაძის) და კერძოდ მიხეილის პროსპექტზე.

ჯ. კახიძის, ყოფ. კრილოვის ქუჩის განაშენიანება თითქმის მთლიანად ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებისგან შედგება. მათ შორის არის №2 და №3 ნაგებობები.



ჯ. კახიძის ქუჩის განაშენიანება ძირითადად XIX ს-ის II ნახევრის ორ-სამ სართულიანი საცხოვრებელი სახლებისაგან შედგება. თითქმის ყველა ნაგებობა თბილისში იმ დროს გავრცელებული ამპირულ-კლასიცისტური სტილის ფასადებით ხასიათდება. ეზოს მხარეს სახლებს ასევე თბილისისთვის დამახასიათებელი ხის გალერეა-შუშაბანდებიანი ეზოს მხარეს მიმართული ფასადები აღენიშნება. ამავე მახასიათებლებს ვხედავთ ჯ. კახიძის №2-ისა და №3-ის არქიტექტურაში.



ორივე ნაგებობა ნალესი ელემენტებით დეკორირებული ფასადებით გამოდის ქუჩის მხარეს. ფასადებზე ნახმარია კლასიკური არქიტექტურული ნაძერწი ელემენტები: პილასტრები, კარ-ფანჯრების მოცულობითი საპირეები, ფანჯრების ქვეშ განთავსებული მართკუთხა იმპოსტები, სარკმლებს შუა რელიეფური საჭექი ქვები. ძეგლის ფასადის ღირებული ელემენტებიდან აღსანიშნავია აგრეთვე მეორე სართულზე შეკიდული თუჯის სხმული აივანი. ეს ელემენტი აუთენტურია.



ჯ. კახიძის ქ. №2 გეგმარებითი თავისებურება შიდა, დახურული ტიპის ეზოა, რომელიც მხოლოდ ზევიდან ნათდება. ეზოს სამწუხაროდ აღარ აქვს შერჩენილი ისტორიული შენობისთვის დამახასიათებელი ხის შუშაბანდები,

რომლებიც დროთა განმავლობაში ჩანაცვლებულია მეტალოპლასტმასის ფანჯრებით და ლითონის გისოსებით.





ეზოში გამავალი შენობის კედლები შეფერილია ტერაკოტისფრად. ეზოს ქვედა ნაწილში ტექნიკური დანიშნულების ჩაშენებული მოცულობა მდებარეობს, მაგრამ მაინც მთავარი შეუსაბამობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ღირებულებასთან ეზოზე გადაყვანილი საფეხმავლო გადასასვლელია, რომელიც ლითონის დგარებზე არის დაყრდნობილი და ასევე ლითონის ფირფიტებით არის შემოსილი.



დასკვნა-რეკომენდაცია

ჯ. კახიძის ქ. №2, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შიდა ეზოს იერსახე არ მიესადაგება ძეგლის ღირებულებას, რასაც უმეტესწილად განაპირობებს ეზოში ჩაშენებული შეუსაბამო გადასასვლელის კონსტრუქცია. შესაბამისად, მისი დემონტაჟი აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის კანონის მოთხოვნით.

ასევე მოსახსნელია ეზოს ფარგლებში ჩაშენებული ერთსართულიანი ტექნიკური დანიშნულების მოცულობა.

ამ დემონტაჟის ჩატარების შემდგომ, ძეგლის შიდა ეზოს მოწესრიგების მიზნით, სასურველია მასზე დაიგოს ერთიანი ტიპის იატაკის საფარი.

კლინიკის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ლიფტის მოცულობა შესაძლებელია მიშენდეს არსებული ეზოს კედელზე, ამასთან ლიფტი სასურველია შეიფუთოს ეზოს ინტერიერთან შესაბამისად.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი